

საგაბიელი



საორთული გაზეთი ოთხშაბათი 26 მარტი 2008 №067 (3291)

ფასი 50 თეთრი

გაბაელით პირიქით: დიდებო, პატარაბიჭობით! ზურაბ ხიზანიშვილის პრობლემა მოგვარდა და შერც მოგვარდა ხრება მორჩა, ფეხი დარჩა

გუშინ საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა ამხანაგურ მატჩში ლატვიისას სძლია, დღეს კი ეროვნული გუნდის ჯერია — ჩვენი ბელფასტში ჩრდილოეთ ირლანდიას ეთამაშებიან და ამ მატჩის პირდაპირ რეპორტაჟს საზოგადოებრივი მაუნყებელი გვიჩვენებს 23.45 საათზე.

გუშინდელი მთავარი ამბები კი ახალგაზრდული ნაკრების ხსენებული მატჩი და ბელფასტური საერთო კრება გახლდათ.

რუსეთი, ლუქსემბურგი და ლატვია — ეს ჩვენი ახალგაზრდულის ბოლო მეტოქეები არიან და სამთავეს ისე მოვუგეთ, 11 გოლის საპასუხოდ ერთიც ვერ გავგიტანეს. ამ 11 გოლიდან ოთხი კი, ჩვენმა ნაკრებმა გუშინ გლდანში, „ამერზე“ გაიტანა.

მადლობა ჩვენს 21-წლამდელებს კარგი თამაშისთვის და მოგებისთვის, მაგრამ ისიც ვთქვათ, რომ გუშინ არანაკლები ყურადღება ბელფასტური კრებისკენ გვექონდა მიპყრობილი.

გავიხსენოთ: ზურაბ ხიზანიშვილისა და ეროვნული ნაკრების სამწვრთნელო შტაბის განმარტებული დაპირისპირების მერე, ფეხბურთელი, მწვრთნელები და ფედერაციის უფროსობა პირველად ბელფასტში შეხვდნენ ერთმანეთს და კრების ჩატარებაც, რომელზეც უთანხმოება უნდა აღმოფხვრილიყო, ადრევე იყო დაგეგმილი.

გუშინვე, ჩვენი დროით 23 საათისთვის ჩრდილოეთ ირლანდიაში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალურ მდივან **ურა შუპლაპას** დაფურეკეთ და უახლესი სანაკრებო ამბები გამოგვიტყუეთ:

— ნაკრებში ძალიან კარგი განწყობაა, ჩრდილოეთ ირლანდიასთან მატჩისთვის ყველა მონდომებით ემზადება. ახლა ფეხბურთელები ვარჯიშზე გადიან, იქამდე კი კრება გვექონდა და რაც გვანუხებდა, ყველაფერზე ვისაუბრეთ. ვარჯიშის დასრულების მერე კიდევ ვაპირებთ საუბარს. ცხადია, უპირველესად, ზურაბ ხიზანიშვილის ამბავი გაინტერესებთ, თუმცა ახლავე შემძლია გითხრათ, რომ ყველაფერი ნესრიგშია.

— **ჯანმრთელობის მხრივ ხომ არ არის რაიმე პრობლემა?**

— ხიზანიშვილი ფეხს იტკივებს. ეს ერთადერთი პრობლემაა, ნაკრების სხვა ფეხბურთელები კარგად არიან. დილას, აქაური დროით 12 საათზე კიდევ ერთი, მსუბუქი ვარჯიშია დაგეგმილი და იმ ვარჯიშის მერე გაირკვევა ზურას მზადყოფნის საკითხი და მწვრთნელიც იმ ვარჯიშის მერე განსაზღვრავს შემადგენლობას.

გიორგი ღარჯანიძე



გარაბ ღარჯანიშვილის ფოტო

დარია თუ ავღარია, მესამედი საქართველოს მარბარია!



გვყვარ: ბესო უდესიანი ჩეხებს ახლაც დატანჯავს

საქართველოს მორაგბეთა ნაკრები გუშინწინ ჩაფრინდა პრალაში, გუშინ კი დილა-სალამოს ივარჯიშა. რა შესენება უნდა, მაგრამ მაინც: პრალაში, „სლავის“ მოედანზე ჩვენები ჩეხეთს საერთათასო მატჩში ეთამაშებიან და, ამასაც, თქმა არ უნდა, უპირობო გამარჯვებას გეგმვენ, მიუხედავად გვარიანად შესუსტებული შემადგენლობისა.

ქართველი „ლელოებისთვის“ პრალული რაგბობა საიუბილეოც იქნება. ქართული სანაკრებო რაგბის ისტორიაში ეს ჩვენი მე-100 მატჩია, რის თაობაზე ადრეც გვეწერა. იუბილეს „დასველება“ უნდა და ჩეხების ძლევით, ქართველები ერთა თასის ცხრილში პირველ ადგილს დაიბრუნებენ, რომელიც რუსეთმა ჩამოგვართვა მეტი თამაშის ჩატარების გამოისობით. ერთა თასის მომგები კი სწორედ ჩვენსა და რუსეთს შორის ჯახში გაირკვევა, როდელიც 12 აპრილს შუაგულ ციმბირში, კრასნოიარსკშია დანიშნული.

შესუსტებული შემადგენლობა ვახსენეთ და განვმარტოთ: წლეულს ერთა თასის განრიგი რაგბის საერთაშორისო საბჭოს (IRB) კალენდარს არ ემთხვევა. პოდა, ფრანგული კლუბებიც იოლად არ თმობენ ქართველ ლევიონერებს. ამ მიზეზით „ლელოები“ ლამის მესამე შემადგენლობით ჩავიდნენ პრალაში, თუმც მთავარი ბრძოლისთვის — სარუსეთოდ, ყველა ნაცადი რაზმელი შეიკრიბება.

პრალაში კი-ნაკრების მწვრთნელმა ტიმ ლეინმა კიდევ ერთი იძულებითი ცვლილება გააკეთა, გამოცდილი მენაკრებე ლევან დათუნაშვილი კლუბს ვერ გაეთავისუფლა და მის მაგივრად კანელი სანდრო მჭედლიშვილი თამაშებს.

გუშინ პრალაში დაუკავშირდით საქართველოს ნაკრების მენეჯერს ვასილ აბაშიძეს, რომელმაც ეს გვითხრა: „მასპინძლები კარგად დაგვხვდნენ, ყურადღებას არ გვაკლებენ. ნორმალური სავარჯიშო პირობები გვაქვს. ერთადერთი პრობლემა ავღარია. პრალაში ძალიან ცივა, დღეს წამოთოვა კიდევ: სხვაფრივ ყველაფერი კარგად არის და მე-100 სანაკრებო მატჩი აუცილებლად უნდა მოვიგოთ, ამაში დარწმუნებულები ვართ“.

ბაჩო სვანიძე

პროფესია სბიუარდი სუნამო, როგორც მთელ გუნდად ფასობს როგორც დავიცვათ ნესრიგი სტადიონებზე

ბაჩო სვანიძის ფოტო

თბილისი. 25 მარტი. 16 საათი. პეპარი. 1 500 მაყურებელი



საქართველო 4:0 ლაზქია



სი ბარაბაძე (13), 2:0 კლიმიაშვილი (25), 3:0 ნავალოვსკი (54), 4:0 სმირნოვისი (74ს.კ.)

სამართველი: ლორია (მ. ალავეიძე 86), დ. მჭედლიშვილი, სანაია, გვაძაბია (თომაშვილი 58), ნავალოვსკი (ელაბაძე 58), დაუშვილი, ბუღაია (ხაჭიბურაძე 83), კლიმიაშვილი, ბარაბაძე (ჩიმაკაძე 70), გ. მერებაშვილი (ვანაძე 83), დედუაჩიანი (ფანცხავა 67)
მწვრთნელი: პეტარ სევრტი

ლაზქია: მალინი, სილაგაილისი (გრამოვიცისი 81), სმირნოვისი, გაბოვისი (კოზაგისი 46), გაილუსი, ლაიზანისი, ლადზინისი, კოზლოვსკი, ზულევსი, გაურატისი (ლუკიანოვისი 46), რუდმევისი (კრიაუკლისი 88)
სათადარიგო: ვლასოვისი; ფერტოვისი, ლამეხისი
მწვრთნელი: გენადის სიტკისი

ბაზრთხილვა: სილაგაილისი (70)

ბმეხეხე: დაუშვილი (90)

მსაჯეები: ვ. ალიევი (აზერბაიჯანი), მ. ელიკაშვილი, გ. ჩიგოგიძე, ზ. ასკაროლი



პეტარ-და გლდანუი!

საქართველომ ლაზქიური ზღაპარი შეფხვითა

ილია ნანოზაშვილი ბოლნისიდან

რუსეთი, ლუქსემბურგი და ახლა ლაზქია — ხედიხედ მესამე მატჩი მოიგო საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრებმა, თანაც, გოლგაუშვებულად და ჯამში 11 გატანილით. ახლა ხომ ცხადია, რატომ ხედებოდა და ხედება ყველაზე ნაკლები კრიტიკა ხორავატ პეტარ სევრტის ნაკრებში მომუშავე უცხოელ მწვრთნელთაგან?

ბოლო ოთხ თვეში საქართველო-ლაზქიის სხვადასხვა ნაკრებები მესამედ შეხვდნენ ერთმანეთს, ვერც 17-წლამდელთა და ვერც ეროვნულმა ვერ გავაზარა. აი, ახალგაზრდულმა კი ბალტიისპირელებზე ჯავრი ამოიყარა.

„ამერის“ სტადიონზე მისულმა გულშემატკვირებმა ერთი გუნდის სოლო-პარტია ნახეს. თამაშს ცალკარა არ ეთქმოდა, მაგრამ არც არაფერი აკლდა — სევრტის გუნდმა ყველა კომპონენტში დაჩაგრა სტუმრები და ვინმელო 6:0 ან 7:0-იც არ ყოფილიყო უსამართლო.

მოდით, ტექნიკასთან დამეზობლებული ერთადერთი ლაზქიელის, იგორს კოზლოვსკის ორი დარტყმა აღვნიშნოთ და ჩრდილოელების „შე-

მოქმედებაც“ ამით ამოეწუროთ. ლაზქიელთა 10 ნომრის მძლავრ დარტყმელებს გიორგი ლორია გაუმკლავდა, მეტი საზრუნავი კი ქართველ მეკარეს არც ჰქონია.

უკვე მე-13 წუთისთვის მასპინძლებს ოთხი კუთხურის ჩაწოდება მოეწყო — ყველა ერთმანეთს ჰგავდა და ყველამ წრიალი გამოიწვია ლაზქიელებში და აქედან მეოთხე გოლით დასრულდა: რევაზ ბარაბაძემ ხუთიოდ მეტრიდან დახერიტა მეკარე გერმანს მალინსი.

გოლმა მთლად გაახელა ქართველები, შემტევი ოთხეული (ბარაბაძე-გიორგი მერებაშვილი-დავით დედუაჩიანი-ირაკლი კლიმიაშვილი) ხშირად ცვლიდნენ ადგილებს და მეტოქეს ახევენდნენ. მოედნის ცენტრში მირზა ბუღაია და მურთაზ დაუშვილიც ერეოდნენ სტუმრებს, რითაც ლაზქიელთა შემტევი მექანიზმი მოიშალა, რაკილა ბურთი მათ ფორვარდებამდე იშვიათად მიდიოდა.

მეორე გოლი კი ულამაზესი იყო: ციბრუტივით მოტრიალე კლიმიაშვილმა საჯარიმოს გარედან ცხრიანში დააქუხა და მალინსი ამის ამლები ნაღდად არ იყო — 2:0.

ორივე გოლი მერებაშვილის პასით გავიდა, რომელიც, ამ ნარჩევ

ბიჭებში გვიჭირს რომელიმეს გამოყოფა, მაგრამ საუკეთესო იყო მინდორზე. აკი, მესამე გოლიც მისი წაქცევისთვის დანიშნულ პენალტს მოჰყვა, როცა მურთაზ დაუშვილის ჩაკიდებული მარცხნიდან შეაქროლა საჯარიმოში. მალინსმა კუთხე კი გამოუცნო პენალტის დამრტყმელ გიორგი ნავალოვსკის, მაგრამ ვერ მოიგერია და 54-ე წუთზე 3:0 გახდა.

მერებაშვილმა მანამდეც და მერეც რამდენიმე კატა-თავგური ჩაუტარა ლაზქიელებს: ერთხელ ბარაბაძე დატოვა მეკარესთან პირისპირ, მაგრამ „ანჟის“ ფორვარდმა სუსტად დაარტყა და მეკარემ აილო, მერე „მერებაშ“ ჯერ სოლორეიდის, შემდეგ კი საჯარიმო დარტყმით სცადა გატანა, თუმც მალინსი მაგრად დადგა.

მგონი, შორს არ უნდა იყოს ის დრო, როცა „დინამოს“ შემტევი კლავს ტოპმოლეურის ნაკრებში გადავა, ბევრის აზრით კი, ამას აქამდეც იმსახურებდა...

მთლად ცაში რომ არ ავაფრინოთ ქართველი 21-წლამდელელები, ისიც ვთქვათ (და სამართლიანდაც), რომ მეტოქე სუსტი იყო, არც ჟინი და გააფთრება გამოხატვით სა-

ხეზე და ბოლოს ერთმა მათგანმა სათადარიგოთა სკამთან მიახლოვებისას იკითხა, რამდენი წუთი დარჩა თამაშის ბოლომდე.

3:0 რომ იყო, ისეთი თამაში წავიდა, მეოთხე გოლი მწიფდებოდა. შეცვლაზე შესულთაგან ყველაზე აქტიური ვახტანგ ფანცხავა მარჯვენა ფლანგზე დაუძვრა ვადიმს გაილუსს და ბარაბაძისკენ შეასრიალა მეკარის ბაქანში, სადაც ბარაბაძეობა ვიტალის სმირნოვისმა იკისრა და ავტოგოლი შეაგდო — ესეც 4:0. დრო კიდევ იყო, მაგრამ ცალკე დალილიობა, ცალკე უზუსტო დარტყმები, ცალკე ინტრიგის არქონა...

პეტარ სევრტი ნამატჩევს ემოციებისაგან დაცლილი იყო, ფეხბურთელებზე ნაკლები ოფლი როდი გადასდიოდა სახეზე. ამას უკვე მიჩვეულებიც ვართ...

— ეს არ იყო მხოლოდ ჩემი მუშაობის შედეგი — მთელ სამწვრთნელო შტაბს მადლობას ვუხედი, რათა დიდი სამუშაო გასწიეს. ამ მოგებით ოთარ გაბელიასაც მივულოცავ დაბადების დღეს, მგონი, მშვენიერი საჩუქარია.

...სიმართლე გითხრათ, ასეთ ანგარიშს არ ველოდი. საქართველოს

21-წლამდელთა ნაკრებმა ხედიხედ მესამედ მოიგო ვიდვალუშკებლად, რაც ძალიან მახარებს. მაგრამ ისიც ვიცი, რომ საუკეთესო თამაშები წინ გვაქვს...

...მიხარია ისიც, რომ ძალიან კარგად ვიყენებთ სტანდარტულ მდგომარეობებს. ამაზე ვარჯიშებზე ვმუშაობთ და მიხარია, რომ ბიჭებს უშუალოდ მატჩში კარგად გადააქვთ...

...დღეს ბიჭები აფეთქდნენ. ასე იყო რუსეთთანაც. ჩვენ არავის ვედრებით, ქართული ფეხბურთის სტილს ვინარჩუნებთ, რაც ფანტაზიასა და ტექნიკაში მდგომარეობს...

...მადლობას ვუხედი კლავს ტოპმოლეურს, რომელმაც ჩემი ნაკრებიდან უკვე 9 ფეხბურთელი აიყვანა. ძალიან მინდა, ხვალ ეროვნულმა გუნდმაც მოიგოს ჩრდილოეთ ირლანდიამო...

...დღესაც მყავდა მინდორზე 3-4 ისეთი ფეხბურთელი, რომლებსაც ტოპმოლეურის ნაკრებში თამაში შეუძლიათ, მაგრამ მათზე ჯერ კლავს უნდა დაველაპარაკო და მერე წარუდგენ. სჯობია, ახალგაზრდა ფეხბურთელები ნელ-ნელა შეჩვიონ დიდ ნაკრებს, ყველაფრისთვის ხომ დროა საჭირო...



გიორგი მერებაშვილმა ლაზქიელები არ შოასვენა



რევაზ ბარაბაძის გოლი

პაპარი კატილაშვილი ფოტოები



გარამ ფანტაზიას ფოტო

„სარბიელის“ ძველ მკითხველს ეხსოვება ვანო ოქროპირიძის წერილები ქართულ თუ უცხოურ ფეხბურთზე. 3ანო ოქროპირიძე 1998 წელს მოვიდა „სარბიელში“, სამი წლის მერე გერმანიაში წავიდა სასწავლებლად და იქიდან გვიგზავნიდა ინფორმაციებს გერმანული ფეხბურთის თაობაზე. გერმანიიდან დაბრუნებული კი სარეკლამო კომპანია „სარკემი“ მუშაობს, თუმცა, რა გასაკვირია, რომ „სარბიელთან“ კავშირი არ გაუწყვეტია.

იმ წლების განმავლობაში, რაც ვანო გერმანიაში ცხოვრობდა, მისგან ბევრი საინტერესო ამბავი მოგვისმენია, რაც ფეხბურთთან არის დაკავშირებული, ხოლო როცა ქართული ფეხბურთის საჭირობოტო საკითხებზე გვიმსჯელობდა, არაერთხელ ვანოს მონაცემებიც გვიხსენებია — აი, გერმანიაში ესა და ეს პრობლემა ასეთნაირად არის მოგვარებული, ჩვენთან კი...

პროფესია სტიუარდი სუნამო, რომელიც მთელ გუნდად ფასობს

— გერმანიაში 2001 წლის ზაფხულში ჩავიდი. პოტსდამში უცხოვრობდი. ამ ქალაქის გუნდი, „ბაბელსბერგი“ სწორედ იმ სეზონში გადავიდა მეორე ბუნდესლიგაში მეგობარმა, რომელიც იქაურ „კარლიზენზეტ შტადიონზე“ სტიუარდად მუშაობდა, მეც შემომთავაზა სამუშაო და დავთანხმდი. სამუშაო რთული არ იყო: თამაშის დღეს 11 საათზე სტადიონზე უნდა მივსულიყავი. მერე ინსტრუქტორს გვიტარებდნენ. მატჩი 16 საათზე იწყებოდა ხოლმე. საათში 10 მარკას გვიხდიდნენ, 2002 წლიდან კი, როცა გერმანია ევროზე გადავიდა, საათში 8 ევროს ვვიხდიდნენ...

...სისტემა ასეთია: კლუბი ხელშეკრულებას უფორმებს დაცვის კერძო სამსახურს, რომლის სპეციალიზაციაც სტადიონებზე წესრიგის დაცვაა. დაცვის სამსახურს კი მხოლოდ რამდენიმე გამოცდილი, ამ საქმის პროფესიონალი თანამშრომელი ჰყავს, სტიუარდებად კი ბოლო კლასების მოსწავლეებს (19-20 წლის) და სტუდენტებს ქირაობს...

სტადიონებზე სტიუარდები ჯგუფებად ნაწილდებიან. თითოეულ ჯგუფს თავისი პროფესიონალი ხელმძღვანელი ჰყავს, რომლებიც თავის მხრივ, დაცვის სამსახურის უფროსს ემორჩილებიან...

...სტიუარდების მოვალეობები მატჩის მნიშვნელობიდან გამომდინარე, განსხვავებულია. ჩემი მუშაობის ერთი სეზონის განმავლობაში ყველაზე მნიშვნელოვანი „ბაბელსბერგის“ „ჰერტასთან“ მატჩი იყო გერმანიის თასზე პოტსდამი და ბერლინი მეზობელი ქალაქებია და

„ბაბელსბერგის“ და „ჰერტას“ გულშემატკივრებს ერთმანეთთან ძალიან აგრესიული დამოკიდებულება აქვთ. იმ მატჩისას სტიუარდებს მოგვთხოვეს, რომ მოედნის გარშემო ჩავმწყრივებულიყავით და ტრიბუნებისკენ გვეყურა. იმ თამაშისას შენიშვნაც მივიღე: „კარლიზენზეტ შტადიონი“ წმინდა საფეხბურთოა და აუტის ზახიდან სულ 2 მეტრში ვიდექი. ერთ ეპიზოდში, ზუსტად ჩემს უკან, ჰერტელმა მარსელინიომ პადაკატი რომ გააკეთა, წამით მოედნისკენ გავიხედე და უფროსისგან შენიშვნაც მივიღე — მოედანზე რაც უნდა ზდებოდეს, შენ ტრიბუნას უნდა უყურებდეო...

...მაყურებელთა ქცევისთვის თვალყურის დევნება სტიუარდს უშუალოდ მატჩის დროს ევალება. თუმცა ეს ერთადერთი მოვალეობა არ არის. სტადიონის კარები თამაშამდე ორი საათით ადრე იღება და სტიუარდს გულშემატკივრების შემოწმებაც ევალება. თითოეულ შემოსვლელთან ორი სტიუარდი დგას — ბიჭი და გოგო. მოწმდება თითოეული გულშემატკივარი და მათი ჩანთები. ძირითადად ის მოწმდება, რომ გულშემატკივრებმა ტრიბუნაზე ბოთლი არ შეიტანონ. არ აქვს მნიშვნელობა, ბოთლი პლასტმასისაა თუ შუშის, სასმელია თუ თუნდაც სუნამო...

...სუნამოს გახსენებაზე: ერთი ასეთი ამბავი შემემთხვა. ერთ გულშემატკივარს ჩანთაში ძვირფასი სუნამო ედო. როგორც წესია, ვუთხარი, რომ სტადიონზე ვერ შევატანინებდი. ჩხუბი დაიწყო, ეს სუნამო იმდენი ღირს, ამის ფასი მთელი

თქვენი გუნდი არ არისო. მოკლედ, მე არ ვუშვებდი, ის სუნამოს დატოვებაზე უარს ამბობდა, ბოლოს უფროსის მოყვანა მოითხოვა. რაკით გამოვიძახე — თითოეულ სტიუარდს რაცია აქვს — უფროსის მოთხოვნამაც რომ ვერ გაჭრა, ასეთი გადაწყვეტილება მივიღეთ: იმ გულშემატკივარს ხელწერილი დავაწერინეთ, რომ თუ მატჩის მსვლელობისას მისი სუნამო მოედანზე გადადებული აღმოჩნდებოდა, მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეს აღებრავდით... ანუ, ჩვენც საკუთარი მოვალეობა მოეხიდავით და ის გულშემატკივარიც კმაცოფილი დარჩა...

...სტიუარტის და გულშემატკივრის ურთიერთობა ცალკე თემაა. სტიუარდი ვალდებულია, სტადიონზე შესვლისას გულშემატკივარი შემოწმოს — ამხე უკვე ვთქვი. ამის გარდა, სტიუარდი გულშემატკივრის მეგზურია, ადგილის მოძებნაში უნდა დაეხმაროს, თუ გულშემატკივარი ამას ვერ ახერხებს. ასევე, პასუხი გასცეს კითხვებზე თავისი კომპეტენციის ფარგლებში...

...ცალკე საკითხია ურთიერთობა აგრესიულ გულშემატკივრებთან. ვთქვათ, გულშემატკივარი სტადიონზე ქცევის წესებს არღვევს — სტიუარდმა მას უნდა მიუთითოს და შენიშვნა მისცეს, მეტის უფლება კი არ აქვს. ამისთვის სტადიონზე პოლიციაა. მაგალითად, აგრესიულმა გულშემატკივარმა სტიუარდს ხელიც რომ გარტყას, სტიუარდს იგივე ფორმით პასუხის გაცემის უფლება ეკრძალება. ასეთ შემთხვევაში სტიუარდმა პოლიცი-

ბოლო დღეებია, „სარბიელი“ ქართულ ფეხბურთში გარიგებულ თამაშებზე წერილების ციკლს გთავაზობთ. საჭირობოტო საკითხთა ნუსხა კი, ცხადია, ვებით არ ამოინურება. განა ერთხელ და ორჯერ გვინახავს მსაჯი გარბის, მაყურებელი კი საცემრად მისდევს?! ოლონდ, სამართლიანობისთვის ისიც ვთქვათ, რომ მსგავსი შემთხვევები ბოლო წლებში აღარ ყოფილა. თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს, რომ წესრიგის საკითხი ჩვენს სტადიონებზე საბოლოოდ მოგვარებულია.

გერმანიაში ცხოვრების და სწავლის პერიოდში ვანო ოქროპირიძე ერთი წლის განმავლობაში მეორე ბუნდესლიგური „ბაბელსბერგის“ სტადიონზე სტიუარდად მუშაობდა და, შესაბამისად, კარგად იცის, თუ როგორ ხდება წესრიგის დაცვის უზრუნველყოფა ევროპულ სტადიონებზე.

ჩვენი დღევანდელი საუბრის თემაც ეს არის...

ბოლო დღეებია, „სარბიელი“ ქართულ ფეხბურთში გარიგებულ თამაშებზე წერილების ციკლს გთავაზობთ. საჭირობოტო საკითხთა ნუსხა კი, ცხადია, ვებით არ ამოინურება. განა ერთხელ და ორჯერ გვინახავს მსაჯი გარბის, მაყურებელი კი საცემრად მისდევს?! ოლონდ, სამართლიანობისთვის ისიც ვთქვათ, რომ მსგავსი შემთხვევები ბოლო წლებში აღარ ყოფილა. თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს, რომ წესრიგის საკითხი ჩვენს სტადიონებზე საბოლოოდ მოგვარებულია.

გერმანიაში ცხოვრების და სწავლის პერიოდში ვანო ოქროპირიძე ერთი წლის განმავლობაში მეორე ბუნდესლიგური „ბაბელსბერგის“ სტადიონზე სტიუარდად მუშაობდა და, შესაბამისად, კარგად იცის, თუ როგორ ხდება წესრიგის დაცვის უზრუნველყოფა ევროპულ სტადიონებზე.

ჩვენი დღევანდელი საუბრის თემაც ეს არის...



ანა იქ



ანა იქ

გარამ ფანტაზიას ფოტო

ჰილინკა მონარა, ნაიკა შეკერა

რუმინეთი — რუსეთი

რუმინეთთან ამხანაგურ მატჩამდე ორი დღით ადრე გუს ჰილინკა რუსეთის საფეხბურთო კავშირთან კონტრაქტი ორი წლით გაახანგრძლივა. 61 წლის პოლანდიელი ვერობის წლებადელი ჩემპიონატის შემდეგ ისევ რუსებს უთავაყვანებს და შეეცდება, გუნდი მსოფლიოს 2010 წლის პირველობაზე გაიყვანოს, წელაწლში კი 2,9 მილიონ დოლარს მიიღებს.

ფედერაცია და მწვრთნელი ხელშეკრულების გაგრძელებაზე სიტყვიერად გასულ შემოდგომაზე, მას შემდეგ შეთანხმდნენ, რაც რუსეთმა ვერობის ჩემპიონატის საფეხბურთო გაიხანგრძლივა, ახლა კი ქალაქებზე ხელი მოაწერეს.

გუს ჰილინკის ჯამაგირს რომან აბრამოვიჩი იხდის, რომელიც რუსეთის ფეხბურთის ნაციონალურ აკადემიას პატრონობს. „მონარული ვარ, კონტრაქტი რომ გაახანგრძლივე — თქვა პოლანდიელმა — ხალხი, ვისთან ერთად ვმუშაობ, საქმეს კარგად ასრულებს. ისინი ფიქრობენ ეროვნულ ნაკრებზე, ახ-

ლაგზრდულზე და ფეხბურთის აკადემიაზე. ამიტომ აქ მუშაობა მომწონს. სხვა შემთავაზებებიც მქონდა, მაგრამ ყველა უარით გავისტუმრე. ვხედავ, რომ რუსეთში საფეხბურთო მეურნეობას აშენებენ და თუ ჩემი გამოცდილება წაადგებათ, ბედნიერი ვიქნები“.

რუსეთის ნაკრებს „ნაიკა“ ახალი ფორმა შეუკერა და რუმინეთთან ამ ტრუს-მაისურების დებიუტი შედეგა. ფორმა სსრკ-ს 1960 წლის გუნდის სამოსის მსგავსია და ორი ვარიანტი აქვს: საშინაო (თეთრი) და საგარეო (წითელი). „ძალიან მსუბუქია, ტანს კარგად ეკვრის და მოძრაობაში ხელს არ მიშლის“ — თქვა ივორ სემშოვმა.

ტრავების გამო ჰილინკის განკარგულებაში მხოლოდ 19 ფეხბურთელია. ნაკრებს ვერ დაეხმარება „სპორტინგის“ ნახევარმცველი მარათ იზმაილოვი, რომელსაც ცოლშვილი საავადმყოფოში ჰყავს და ფეხბურთისთვის არ სცალია. შეტევაში, სავარაუდოდ, ანდრეი არშავინი და პაველ პოგრებნიაკი ითამაშებენ.



რუმინელებს კრისტინ კივუ და პაულ კოდრუა ჰყავთ ტრავმირებული. კივუს მხარი სტეკია და მისი კლუბის, „ინტერის“ თხოვნით, ალბათ მხოლოდ ერთ ტაიმს ათამაშებენ. მასპინძელთა მწვრთნელმა ვიქ-

ტორ პიცურკამ ნაკრებში პირველად უხმო მცველ ლასლო სეპსის, რომელიც ზამთარში „გლორიადან“ „ბენფიკაში“ გადავიდა. ორწლიანი შესვენების შემდეგ ეროვნულ გუნდში გამოჩნდა ფორვარდი მარიუს ნიკულაე „ინვერესიდან“ და ტრავმამო-

შუშებული მირელ რადოი, რომელსაც ტრავმის გამო შეიძლება გაუცდა. პიცურკას გუნდი ალბათ ჩაბრინდებიან მარიკათი და ადრიან მუტუოი მუტუცეს.

ვაჟა ხუციშვილი



კარლოს ღუნგა შეგიღებს სამშვედეთოდ ამზადებს

მსახანეთი — იტალია

ფინანსლო ტორმსამ ამ სეზონში „ლივერპულისთვის“ 27 ვოლი გაიტანა და ნაკრების მწვრთნელს მსოფლიოს ჩემპიონებთან მატჩში მოსი ეიმელება. მიუხედავად იმისა, რომ ეროვნულ გუნდში გოლუხვობით ვერ დაიკვეხნის, ტორმსამ ფაბიო კანავაროს აზრით, პრემიერლიგაში გადასვლამ არც და ეს ესანეთსაც წაადგება. „მისი პროგრესი ამკარაა — თქვა „რეალის“ იტალიელმა მცველმა — გასულ სეზონში, როცა „ატლეტისკომი“ თამაშობდა, ასეთი ყოჩაღი ვერ იყო, როგორც ახლა“.

თვითონ ფორვარდმა, რომელსაც ბოლო 18 თვეში ნაკრებისთვის ორ გოლზე მეტი არ გაუტანია, გუშინ განაცხადა: „მივხვდი, რომ „ატლეტისკომი“ მეტად ვეღარ გავიზრდებოდი და ახალი გამოწვევა მჭირდებოდა მაინტერესებდა, შევძლებდი თუ არა კარგად თამაშს სხვა ქვეყნის ჩემპიონატში და ამიტომ წავედი“.

ლუის არაგონესმა კვლავ არ გამოიძახა რაული. სამაგიეროდ, პირველად უხმო ლივერპულელ ალვარო არბელას, ხეტაფელ რუბენ დე ლა რედს და მალიორკელ ფერნანდო ნავაროს. „ვალენსიას“ მცველი კარლოს მარჩენა „რეალთან“ მატჩში დაშავდა და მისი თამაში საეჭვოა.

იტალიასთან შეხვედრის შემდეგ ესპანეთს ამხანაგური მატჩი აღარ ექნება, მწვრთნელმა კი ბრძანა, რომ ვერო 2008-ის დაწყებამდე გუნდში ცვლილებებს არ გამოიციხავს: „საბოლოოდ, იმ ფეხბურთელებს დავეყრდნობი, რომლებიც ივნისისთვის უკეთეს ფორმაში იქნებიან, შემადგენლობაში ცვლილებები ალბათ კიდევ მოხდება“.

იტალიის ნაკრების თავკაცმა რობერტო დონადონიმ კი „რომადან“ და „მილანიდან“ ოთხ-ოთხი ფეხბურთელი გამოიძახა. ნაკრებში კვლავ იქნება მარკო მატერაცი, რომელსაც აგვისტოში მიღებული ტრავმის გამო „სკუადრა აშურში“ ნახევარ წელზე მეტ ხანს არ უთამაშია. დონადონის კონტრაქტის გახან-

კანაპარომ ტორმსი დაადასტურა

რბილება სურდა, რომელიც ივლისში ეწურებოდა, მაგრამ ფედერაციასთან ვერ მორიგდა. მწვრთნელის პირობა ისეთი იყო, რომ ვერო 2008-ზე მიღწეული შედეგის მიუხედავად, ხელშეკრულებას კიდევ ორი წლით გაუგრძელებდნენ, მაგრამ ფედერაციაში შედეგზე დაუწყეს ვაჭრობა. ნახევარფინალში თუ ვერ გახვალ, კონტრაქტს არ გაგიხანგრძლივებთ

და დონადონიმ ხელის მოწერა თურა მსახანეთი: კასილიასი; რამოსი, პუიოლი, ალბიოლი, კამდევილა, ფაბრეგასი, ინიესტა, სენა, რიერა, ვილია, ტორმსი. იტალია: ბუფონი; პანუჩი, კანავარო, ბარძალი, ძამბროტა, დე როსი, პირლო, პეროტა, კამორანეზი, ტონი, დი ნატალე.

ვაჟა ხუციშვილი

პატოს დრო მოვიდა

შვედეთი — ბრაზილია

1958 წელს, მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში ბრაზილიამ შეუდგეს 5:2 მოუგო და დღევანდელი ამხანაგური მატჩი ნახევარსაუკუნოვანი იუბილეს აღსანიშნავად გაიმართება. გუნდები ერთმანეთს ლონდონის „არსენალის“ სტადიონზე გაეჯიბრებიან.

2006-ის ზაფხულში ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელად დანიშნული კარლოს ღუნგა შემადგენლობის გადახალისებას და ახალი სისხლის შეყვანას აგრძელებს. შარშან მან კაკას და რონალდინიოს გარეშე „კოპა ამერიკა“ მოიგო. ფეხბურთელობისას როგორი მებრძოლიც თავად იყო, ასეთივე მოთამაშეები ურჩევნია ღუნგას და „კარსკვლავებს“ დიდად არ სწყალობს.

ამჯერად მან არ გამოიძახა რონალდინიო, რომელიც კალაპოტიდან ამოვარდნილა და „ბარსელონას“ ძირითად შემადგენლობაში მხოლოდ სპეცირ ითამაშა. რონალდინიოს დასვენება სჭირდება და ივნისში მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩებისთვის გამოგვადგებაო, თქვა

მწვრთნელმა. ტრავმის გამო გუნდს დღეს კაკაც დააკლდება.

ძირითად შემადგენლობაში, სავარაუდოდ, იქნებიან ალექსი, ფილბერტო სილვა, ელანო, დიეგო, რაფაელ სობისი და ალბათ ალემანდრე პატოს დებიუტიც შედეგა. „მილანის“ 18 წლის ფორვარდს თებერვალშივე უნდა ეთამაშა ამხანაგურ მატჩში, მაგრამ ტრავმამ არ დაანება.

შეველებს კი დამავებული ჰყავთ „ინტერის“ თავდამსხმელი ზლატან იბრაჰიმოვიჩი. „იბრას“ მუხლი სტეკია და მწვრთნელმა ლარს ლაგერბაკმა მის ნაცვლად „სანდერლენდის“ ლეგიონერი რადე პრიკა გამოიძახა, ხოლო ერეკ ედმანის მაგიერად — „უფანისევ“ მცველი მიკაელ დორსინი. ორწლიანი უქმობის შემდეგ ნაკრებში დაბრუნდა ტრავმამოშუშებული ფრედრიკ რისიპი.

„მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო გუნდს ვეთამაშებთ და ევროპის ჩემპიონატამდე ეს ჩვენთვის კარგი გამოცდა იქნება“ — თქვა შვედთა თავკაცმა ლარს ლაგერბაკმა.

ვაჟა ხუციშვილი



სარგბიელი & კროკო

სარგბიელი

Main table with columns for time, date, location, and various numerical data points (I, X, 2, I-X, I-2, X-2).



Table with columns: time, route number, and fares for routes 1, X, 2, 1-X, 1-2, X-2. Includes routes like 21:00 123, 20:00 124, etc.

Table with columns: time, route number, and fares for routes 1, X, 2, 1-X, 1-2, X-2. Includes routes like 23:15 699, 23:45 701, etc.

I ტაიმი/პირითადად

Table of fares for individual routes (I ტაიმი/პირითადად) with columns: route number, 1, X, 2, 1-X, 1-2, X-2.

I ტაიმი/პირითადად ღრმად

Table of fares for individual routes (I ტაიმი/პირითადად ღრმად) with columns: route number, 1/1, 1/X, 1/2, X/1, X/X, X/2, 2/1, 2/X, 2/2.

რამდენი გოლი გავა მატჩში (პირითადად ღრმად)

Table for bets on goals scored (რამდენი გოლი გავა მატჩში) with columns: goal count, bet amount, and payoff.

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს

Table for bets on whether both teams will score (გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში) with columns: bet type, bet amount, and payoff.

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

Table for bets on which team will score first (რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს) with columns: team, bet amount, and payoff.

რამდენი ტაიმი გავა მატჩში გოლი

Table for bets on total goals (რამდენი ტაიმი გავა მატჩში გოლი) with columns: I-ში, თანაბრად, II-ში.

ვინ გარბნის (პირ ღრმად)

Table for bets on who wins (ვინ გარბნის) with columns: team, bet amount, and payoff.

გოლი/წვილი-10მუ კანტი-2 (0:0 ითვლება წვილად)

Table for bets on goals/draws (გოლი/წვილი-10მუ კანტი-2) with columns: team, bet amount, and payoff.

